№ 69 მარტი 31, პარასკევი 1889 მარტი 31, პარასკევი № 69

გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ გასცვლებითა დასაბეჭდად უნდა მიეპარონ: თბილისს ფერეულნის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიის სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

„ივერია"

გამოდის 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჯუერს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიუთითოს:

ტფილისში: 1) თვითონ რედაქციას, ფერეულინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; 2) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარავასლის გალერეიაში).

ქუთაისში: ეარლამ ჯილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისან გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის აღრეესთ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშიგე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

თავ-მეინებებული საზოგადოება

ერთი ადგილია, იქ მივდიოვართ ხოლმე მუდამ დდეიურის ვარამის შემდეგ, გონებასა და გულს მოსვენება მივცეთ და ამ მოსვენებასთან სიამოვნებაც, სარგებლობაც ვნახოთ ისეთი, რომ გაგვამხნოს, გადაგვხალისოს, უკეთესის ფირსებისა გაგვხადოს და სულით აგვამაღლოს. ამ ადგილს ვიურებით უველანი ერთგვარად, სწავლულნი და უსწავლელნი, მდიდარნი და გლახაკნი, მოხუცებულნი და ჭაბუკნი; უველას გვიუვარს, უველას გვიზიდავს ეს ადგილი.

ეს ადგილი ტაძარია, რომელის აგებაზედაც წარჩინებულნი ერნი იდვწოდნენ. მრავალმა საუკუნემ გაიარა იმის აგებაში, მრავალი შრომა, ნიჭი, მოხერხება, ზრუნვა და ფული დახარჯულა იმის აგებასა და დაკეთებაზე. მაგრამ ეს ტაძარი ნივთიერი შენობა ნუ გეგონებათ, ქვა-კეკლუთ აგებული. არა, ეს ისეთივე ნაგებობაა, როგორც თვით ცხოვრება ჯაკისა, რომელშიაც ყოველი ხელის ნამოქმედარი ერთი მცირედი ნაწილია, ადამიანის სულიერ ცხოვრების გამომსახველი.

ამ საქვეყნო ნაწარმოებში ყოველს ერს თავისი ძეგლი დაუდგამს და კვლავაც სდგამს, უველის, ჭეშმარიტის, ამშვენებს და ამდიდრებს. ეს ძეგლი ერთის ერისა უფროა უადრესად მეორისაზე, მაგრამ რა გუუოთ? უველას, ვისაც სიცოცხლე ეტყობა და სიცოცხლის მოიმედეა, უდგაწია ამ ძეგლის დადგმაზე. ამატომაც ძვირფასია იმისთვის.

ამ გვარის ძეგლის აგება მოახერხა ჩვენმა ერმაც. მართალია, დიდის გაგზრებითა და ხელ-მოკლეობით, დიდის ზაპან-ზუკეტით, ცრემლითა და მეუხარებით მოუხდა იმის აგება, მაგრამ მაინც-კი დასდგა ეს ძეგლი და ჯდეს უველანი ვუუურებთ ამ ნადვაწეგს.

ქართველს სცენაზე, თეატრზე მოგახსენებთ.

დიდებული სახე არა აქვს, მაგრამ განა დიდებულობას მოკლებულია მშობელის დედის გარეგანი შეხედულობა მხოლოდ იმითი, რომ დარიბია? ბრწყინვალე არ არის, მაგრამ განა მთელის ქვეყნის სილამაზეზე გასცვლით დედის ფერ ნაკლებობასა? არა. რასაკვირველია, ვაფასებთ სხვის მშვენიერებას და დიდებულობასაც, მაგრამ მშობელს დედაშიც გპოულობთ ხოლმე ძვირფასს სულიერს ფირსებას, რომელსაც ვეტრფით, გვიყვარს და თავსაც ვწირავთ ხოლმე.

— რაზე ჩამოგვარაკეთ? იკითხავთ და იტყვით: ეგ ხომ ჩვენც ვიცითო.

დიადაც, მაგრამ მაგარი დღეგანდელი ყოფნაა თეატრისა. ამ ათის წლის წინად დიდის აფეტაცებით მივეკენინთ თეატრის განახლებასს; „საზოგადოებაც-კი დავაწესეთ თეატრის დასახმარებელად, მთავრობას დავამტკიცებინეთ წესდება ამ საზოგადოებისა და მერე კი მივუურდით, მივანებეთ თავი.

დდეს არც ერთი ჩვენი საზოგადო დაწესებულება ისე თავ მინებებული და ზრუნვას მოკლებული არ არის, როგორც „დრამატიული საზოგადოება", რომელიც ქართველს სცენას უნდა უძღვებოდეს. ყოველ ჩვენს საზოგადოებას, წერა-კითხვისას, თავადაზნაურთა მოსწავლეთა შემწეველს და სხვათა, უველას მზრუნველი ჭირს, უველას მოსაქმე და დამმხარებელი ეგულება, უველგან წევრების რიცხვი ასიოდე მაინც ითვლება. დრამატიული საზოგადოება-კი ყოველს ამას მოკლებულია; წევრების რიცხვიც-კი ოცამდე არ მიადწევს. მმართველობის წევრები რომ არ ირჯებოდნენ, ამ საზოგადოების ხსენებაც ადარ იქნებოდა

მაგრამ რა შეუძლიან საზოგადოებას მმართველობას, თუ მას საზოგადოება არ ეყოლება წელის გასამგრებელი, თუ საზოგადოებაში არ იქნებიან წევრები და წევრნი არ იზრუნვენ საქმისათვის? დდეს ჩვენს დრამატიულს საზოგადოებაში, როგორც ვსთქვით, წევრების რიცხვი მეტად და მეტად მცირეა. მიზეზი ის არის, რომ წესდების ძალით ვინც დამფუძნებელი იყო, პირველსავე წელს ხეედრი ფული თუ არ შეეტანა, უნდა გამოირიცხულიყო. ამ გვარად ეს ფულის შეუტანლობა გახდა მიზეზი სხვა წევრთა შემცირებისა. აქედამ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიკვანოთ, რომ ნამდვილი მზრუნველი და გულ-შემატკივარი ქართველს თეატრს არა ჰყოლია. ეს შეგვიძლია ასეც გიფიქროთ და ისეც. ნამდვილი გარემოება-კი ის არის, რომ საზოგადოებას მონაწილეობა ჰყავს, მისი საქმე ბეწვზე ჰკიდია და შესაძლებელია მალე ბოლოც მოეფინა. მმართველობის გამჭრიახობა ვერას მოაგვარებს, თუ საზოგადოება თავად არ იქნება თვალ-ფხიზელი და შემწეველი

ფელეტონი

მშვენიერი ნიეერნეზა

(დასასრული*)

V

შვილი! შვილი ჰყავს მოჟანდრს! იგი თვალს არ აშორებს თავისს ბავშვს, რომელიც ორთქლის - მატარებლის ოთახში ჰზის და ნევერისაკენ მიეშურება სწორედ ხელიდამ გამოსტაცა ბავშვი წინანდელს მშობლებს! გამოიტაცა ბავშვი და მცირე მდლობაც არ უთხრა იმის აღმზრდელ. შემნახველთ. მას არ უნდოდა თავისი შვილი სხვის სანუკარ, საგოგმანებლად დარჩომილიყო და გამოტაცების უმალვე თავისის დიდის ხნის სურვილის აღსრულებას შეუდგა.

— არც ვალი გაქეს და არც მოწილე გყავს. მთელი ჩემი შეძლება შენია და მხოლოდ შენი, ჩემო ეიქტორ?..

მოხუცი შესცქეროდა ბავშვს და გულში ერთსა და იმავეს იმეორებდა. უცებმა სიხარულმა გამოაშტერა, გამოაყეყეჩა მოჟანდრი... ვინ ჩამოსთელის, ყოველ წამზე უმალ რა აზრი ებადებოდა მოჟანდრს. ისე გაიტაცა ფიქრმა, რომ თავისი ეიქტორი ოცის წლისა ელანდებოდა... ეიქტორს მაუღის ტანსაცმელი აცვია, მთელი ზაკერდი ვერცხლის ძაფით აქეს ნაკერი... ეიქტორი სატყეო სასწავლებლის სტუდენტია. . არა, ეს ეკოტაეა და მოხუცმა შეუცქალა ტანსაცმელი, თავზე სამკუთხა ქუდი და ჭხურა და წელზე ხმალი შემოაკრა, როგორც ახლად სწავლა - დამთავრებულს ტეხნიკს... რას იზამ! სასწავლებლები თუ მოსწავლეთა ტანსაცმელი დომხალიეთ აურ-დაურია მოჟანდრის ოცნებამ. . მაგრამ რა! ოქროვერცხლისა და ბუზმენტის აპელატები დურგლისათვის არაფერია. შეძლება ყველას გაუძღვება... ეიქტორი თავიდამ ფეხებამდე ოქრო - ვერცხლით არის შემოსილი. ყველა პატივსა სცემს ეიქტორს... ახალგაზდა ქალები სწორედ გიჟდებიან ეიქტორის დანახვაზე. ბებერი, დაკორბებულ-ხელებიანი დურგალი-კი შორიდამ უცქერის ყველა ამას და ამბობს:

— აი, ჩემი შვილი! ჰე! როგორი ბიჭია ჩემი ეიქტორი...

„ჩემი ეიქტორი!.." ამავე დროს თავისს დარდსა და ფიქრშია იგი! მენავის ქუდი თვალებზე ჩამოფუფატნია, რომ მოხუცმა ცრემლები არ შენიშნოს. ეიქტორს ისე უცბად მოუხდა წამოსელა, რომ ჯერაც ვერ დარწმუნებულა, სიზმარია ეს თუ არა! გამოთხოვების დროს კლარამ აკოცა... ეს კოცნა დაღსავით დაეჩნდა და სწვავს და სდაგავს ეიქტორს... ბიძია ლუეო ზურგ - შეკეცული იდგა... ძალუა ხომ ისე სტიროდა, თითქო შვილს ჰპარხავსო... მომილი? იმანაც-კი იგრძნო, რომ ეიქტორს აშორებდნენ და თავისს საკმელით საესე ჯამს ხელში აჩეჩებდა .. ღმერთო ჩემო! როგორ, როგორ იცხოვრებენ უჩემოდ? მომავალი სტუდენტი ისეი გართობილი საკუთარს ფიქრში, რომ ყველა მოხუცის კითხვაზე კრძალვით აძლევს პასუხს: „დიახ, ბატონო მოჟანდრო!" არა, ასე ადვილად ვერ დაივიწყებს თავისს წარსულს „მშვენიერ ნიეერნეზას" პატარა მენაქე... მატარებელი ჰკივის, ჰშფოთავს. აგერ გადაიარეს ნიდი და მიუახლოვდნენ სადგურს. სადგური გაჭედილია ხალხით, ხალხის ყაყანი, ეტლების რახარხი და მატარებლის კვილი ერთ რაღაც გუგუნად გადიქცა...

მოჟანდრი შეილითურთ ახდილის ეტლით გაეშურა ქალაქისკენ. მოხუცს თავისი ახარი არ დაჰვიწყებია და ეტლით პირდაპირ გიმნაზიის მკერდალთან მიიქრა. გამოწკეპილმა ნოქარმა ღიმილით გაუღო კარები მუშტარს. ნოქრები დაფაცურდნენ და მოჟანდრის წინ გადმოალაგეს ათას გვარად ნაკერი ტანსაცმელი. მკერდალს ბედზე მშვენიერად შეკერილი ოქროს ღილებით შემკული გიმნაზიის მოსწავლის ტანსაცმელი ჰქონდა... მოხუცი ჰსინჯავს ტანსაცმელს და სიამოვნებით ამბობს: „სწორედ მხედარს დიმსგავსებია ამ ტანსაცმელში ეიქტორი..." უფროსი ნოქარი მიუახლოდდა ეიქტორს და სიგრძე-სიგანის ზომა აიღო. ეიქტორს უნებლიედ აგონდება ბიძია ლუეო, რომელიც სწორედ ასევე ჰზომავდა კოჭებ-მოჩგეებსა. . . მოაგონდა „მშვენიერ ნიეერნეზაზე" მყუდრო ცხოვრება, რომელიც გაჰქრა იმისთვის და დაუბრუნებელია მოისპო. გამოპრანჭული ეიქტორი უშველებელ სარკის წინა სდგას. მოხუცი სიამოვნებით შესცქერის შვილს და სრულიად ვერ აჰჩნევს მწუხარებას. ნოქარმა ფეხით შეისროლა ეიქტორის ხალათი დახლს ქვეშ. ეიქტორმა იგრძნო, რომ რაღაც ძარღვი ჩასწყდა... და სამუდამოდ დაჯარგა ის, რის მოგონებაც-კი აღარძალული აქვს.

— თქვენ მთლად გადახალისება გეჭირვებათ. უნდა დაიეიწყოთ თქვენი პირველ დაწყებითი აღზრდის უგეგონობა, მედიდურად ეუბნება ეიქტორს სასწავლებლის უფროსი: და რომ ხელი შეეუწყონ ამ გადახალისებას, გიმნაზიის ვამგეთ გადასწყეიტეს თთვენი მხოლოდ კვირაობით დაგიოხოვონ...

ოჰ, რა გულ-საკლავად სტირის ეიქტორი საღამოთი ცივ და მიყრუებულ საწოლ ოთახის კუთხეში. ეიქტორი სტირის მაშინ, როცა დანარჩენი მოსწავლენი უდარდელად ჰხერი. ნავენ რკინის საწოლზე და აღმზრდელი სანთელს უზის და გატაცებული ჭითხულობს წიგნს... ღამე სტირის ეიქტორი... ღლისით გაკვეთილებზე მწარე ფიქრებით გატაცებული საშინლად შეკრთება ხოლმე, როცა-კი მახზეელებელი წამ და უწუმ სახაზაეის რახუნით წამოიძახებს „ჩუმად... ჩუმად"... ეს განუწყეტელი ძახილი ერთი-ორად უშიამეს ისედაც არა-სანატრელს სიცოცხლეს... ნეტა გაკვეთილის შემდეგ, შესვენების დროს, მაინც იყოს მოსვენებაში, მაგრამ დაუდეგარი ამბანაგები არ ასვენებენ... ფასკენიან, მასხარად იგდებენ. ყველა ეს აგონგეს ბავშვობის შავსა და ბნელს დროს: ტალახიანს ქოხს, პარიჟის ღარიბთა უბანს, ჩხუბს, ლანძღვასა და დაუსრულებელს ცემა-ტყეპას... აგონგებს იმას, რაც სამუდამოდ უნდა დაეიეწყნა. სანუგეშებლად კლარასი და იმის მშობლების მოდიმარი სახე-ღა დარჩა ეიქტორს... ჯერ კიდე არ დაჰვიწყებია ეიქტორს „მშვენიერი ნიეერნეზა" და სწორედ ამიტომ იმის წიგნების ფურცლებზე აღმზრდელი ერთსა და იმავე გემის სურათს ჰხედავს. თითოეულს წიგნში სხვა-და-სხვა ნაირად არის გემი და, ხატული. ერთს წიგნში დინჯად-მცურავი გემია დახატული, მეორეში— გაუშლია იალქნები და მთლად დაუმალავს გეომეტრიული სურათები; მესამეში ზომ ამაყად მისცურავს გეოგრაფიულ სურათის ოკეანეზე... ყოველ დღე აღმზრდელი ეიქტორს უფროსთან ახეზღებდა. მოთმინებიდამ გამოსულმა უფროსმა მიიწვია მოხუცი მამა და ყველაფერი გარდასცა.

დურგალი გოოცებულია.

— განა ეგ შესაძლებელია! იგი მეტად თავაზიანია!

— რაო? თავაზიანი-კი არა, უდრეკელაა... ბეცია!..

... ისეთი გამგონეა . .

— რას ამბობ, ყოველად შეუძლებელია ადამიანმა სულ უბრალო რამ დაასწავლოს.

ასე სასტიკად სჯიან ეიქტორზე და არაფის უნდა შეიტყოს, რომ მოსწავლე მოჟანდრმა წერა-კითხვა ტყეში თავისუფლად სიარულში შეისწავლა. მერე ვისთან? კლარასთან ერთად. ეხლა? ეხლა სულ სხვაა... სასტიკის მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა შეასწავლონ მეცნიერება... ამას ვერ ჭგუობს ეიქტორი და დღითი დღე უფროს კლასიდამ უკან-უკან ასკუბენენ. მოხუცი დარდობს, სწუხს. სატყეო სასწავლებლის მოსწავლის სუ-

*) იხ. „ივერია" №№ 60, 61, 65 და 66.

მმართველობისა. ყველას ამას მოჰყვება ის, რომ საზოგადოება უნდა გაუქმდეს და მომავლისთვის თეატრს მოაკლდეს ერთად-ერთი ხელის მიმწოდომი და ერთად-ერთი მზრუნველი.

რას იზამს თავის ანაბარად დარჩენილი ქართველის თეატრის დასი, ვინ იქნება იმისი ხელის გამმართველი, იმისი გამძღოლი? მართალია, დღეს ვაი-ვაგლახით ინახავს საზოგადოება თავის დასს, მაგრამ მაინც უძღვება და ცოტათი ხელს უწყობს. დღეს ქართული არტისტები, მართალია, დიდს გაჭირვებაში არიან, მაგრამ მაინც რასმე ეხმარება დრამატიული საზოგადოება იმ შემოსავლით, რასაც ბალების ანუ კონცერტების გამართვითა მოიკლებს. რას უნდა მოველოდეთ შემდეგში, როდესაც ეს დონის-ძიება მოეცხობათ? უეჭველია არტისტები დაიქსაქსებიან და და ვრჩებით ჩვენის გულგრილობის გამო. მოკლებულნი სამუდამო თეატრს, რომლის განახლებასაც შეეტრფოდით ამ ათის წლის წინად.

ამ მომავალს კვირას საზოგადოებას ურჩილობა აქვს. როგორც შეეტყეთ, ენლანდელის მართველობის წევრების უმეტესს რიცხვს გამოსვლა სურს. თუ საზოგადოებაში წევრთა რიცხვი ნაკლებად იქნება, საქმის მოთხვეობას ვის ჩაბარებენენ, ძნელი გამოსაცნობია. ამიტომ რომ მმართველობის წევრების რიცხვი საზოგადოების წევრების ნახევარზე მეტია. მაშასადამე, თუ ნახევარმა ადარ იგისრა მმართველობის წევრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას ადარ ესურვება თავისი სიცოცხლე.

საქმე იმაზე იქნება მიმდგარი, მივლენ საზოგადო ურჩილობაზე იმდენნი წევრნი, რომ დასძღიონენ აზრი საზოგადოების გაუქმებისა; თუ არა? გამოჩნდებიან ახალი წევრები, რომ შეეტანონ საზოგადოებაში მომატებული საქმიანობა და მზრუნველობა, თუ არა?

ამ გვარად დღეს საქმე იქამდე მისულა, რომ ქართველ დრამატიულ საზოგადოების ყოფნა და არ ყოფნა უნდა გადასწყდეს. მასასდამე, სამუდამო თეატრის გაუქმებაზეა მივარდნილი საქმე. რას აპირებს ამაზე ტფილისის ქართველობა, ეს კვირას, აპრილის 2 გამოჩნდება.

ბ.

ახალი ამბავი

*** გუშინ, 30 მარტს, შუადღის უკან ორს საათზე, შემდეგი უბედურობა დატრიალდა კუკიაში, კრამიტების ქარხნის ახლო: ერთმა მარტ-ყოფელმა კაცმა, სახელდობრ ფრიდონ ტკბილაძემ, რომელსაც პოფოსკა ჰქონდა გამართული და ეზიდებოდა სხვა-და-სხვა მასალას სახლების ასაშენებლად, გუშინ მეექვსე თუ მეშვიდე ეზობად მიიტანა თავისის პოფოსკით წერილი ხეები ახალ შენობასთან და დაუწყო ცლა. რამდენიმე ხე გადაგდო, მერე უცებ წაუსხლტა ფეხი ტალახში და ერთი ხე შიგ საფეთქელში მოხვდა. საცოდავი ფრიდონ ტკბილაძე დაეცა და იქვე განუტეცა სული. თუმცა ბევრს ეცადნენ დამსწრენი, მაგრამ ვეღარაფერი ვერ უშველეს. ფრიდონ ტკბილაძის გვამი ქალაქის სამკურნალოში წაასვენეს.

*** 28 ამ თთვისას, ღამით, კუკიაში, მეცხრე განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე, მიჩეჩუმოვის სახლში, ოქრომჭედლის პიპუსის სადგომში შესულან ქურდები და წაუღიათ დიდ-ძალი ოქროსა და ვერცხლის ნივთები. ქურდებს შერჩეულის გასაღებით გაუღიათ კარები.

*** ხვალ, შაბათს, ბზობის წინა დღეს, საღამოს ხუთს საათზე, მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი თავისს კარის ეკლესიაში გადიხდის ლოცვას ცისკრითურთ.

*** ბ-ნს ნობელს კროსინის მილი გაჰყავს ხაშურიდგან ყვირილამდე, სამოცას ვერსის სიგრძეზე. როგორც ისმის, მილის გაყვანას დაასრულებენ მაისის პირველისათვის. ამ მილით დღე და ღამეში სამოცი ათასი ფუთი კროსინი გაიელის.

*** რამდენჯერ ყოფილა დაბეჭდილი გაზეთებში საჩიავრი გაზეთების ხელის-მომწერლებისა, რომ გაზეთები ან სრულიად არ მისდით, ეკარგებათ და ან კვირისა და ორის კვირის შემდეგ ღებულობენ. ხელის-მომწერლები ამ უწესოებას ფოსტის მოხელეებს აბრალებენ და რედაქციასა სთხოვენ, ყურადღება ათხოვონ ფოსტის მოხელეების უკუღმართობას. ამას წინად ნიგოითიდგან შემოგვჩიოდნენ, რომ ბევრნი იძულებულნი არიან გაზეთებზე ხელი აიღონ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნახევარსაც ვერ ღებულობთ თავ-თავის დროზეო. ეხლა ამ გვარიე საჩივარი დაბა ლანჩხუთიდგან მოგვეფოდა.

*** ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებას ერთი ფრიდე კარგი საქმე განუზრახავს. ფოსტის უწყებამ უნდა შემოიღოს სხვა-და-სხვა დაწესებულებისათვის, თუ რაღაქციებისათვის, რომელთაც დიდ-ძალი კორრესპონდენცია მოსდით, ცალკე საფოსტო ყუთები. თითოეულისათვის ფოსტაში ცალკე ყუთი იქნება და ამ ყუთის გასაღებიც პატრონს ექნება და თითონვე შეეძლება კორრესპონდენცია გამოიღოს ყუთიდგან. ამ სახით ფოსტის უწყებასაცა და კორრესპონდენციების მიმღებლებსაც საქმე გაუადვილდებათ. ეისაც ამ გვარი ყუთი ექნება ფოსტაში, წელიწადში ხუთი მანეთი უნდა იხადოს.

*** ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი, ქ-ნი მ. ტიმჩენკორუბანი გეთხოვეს დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: „ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის შემოსავალი რომ გავადიდოთ, ჩვენ განვიზრახეთ ეყიდოთ, სხვათა შორის, სათამაშო ბანქო. ამიტომ მიგმართავთ და ვთხოვთ ქუთაისის კლუბს, ქუთაისის საარტისტო წრეს და სასტუმროებს ჩვენგან იყიდონ სათამაშო ბანქო“.

*** სოფ. **რეხა** (ბორჩალოს მაზრა). რეხა თრიალეთის მხრის ერთი სოფელთაგანია და იქ ას კომლამდე მცხოვრები იქნება. ამ სოფელს უხვად აქვს მთა, ჭალა, სახნავი მიწები და ტყეს-კი თთ. ციცაშვილებისაგან ღებულობენ იჯარით, საიდამაც გამოაქვთ ხე და სხვა-და-სხვა ახლო-მახლო ქალაქებში ჰყიდიან, მომეტებულად კი გუმბრსა და ახალქალაქში.

რადგან, როგორც ესთქვეთ, მთა საძოვარი არ აკლიათ რეხელებს, ამისთვის შინაურ პირუტყვის მეტ შენებასაც ერთგულად მისდევენ, ისე რომ ბევრ გლეხებს ხუთასს სულამდე ცხვარი, სამყოფი გუთნეული ხარ. კამბეჩი და ძროხა ჰყავს.

რეხელები გვარ-ტომობით ქართველნი არიან და სარწმუნოებით მართლ მადიდებელნი. ქამთა ეფთარებისა და თთარების ზედ გაელენის გამო თთარულსა და ქართულს ერთმანეთში ურევენ და ამ ნარევს ენაზე ლაპარაკობენ. ქართული ენა თუ შერყეულიათ რეხელებს, სამაგიეროდ ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება-კი შეურჩენიათ. დღემდე ქალები ქართლიდგან მოჰყავთ. ტანისამოსითა და ზნე-ჩვეულებით ჯავახელებს მოგაგონებსთ. იქნება იკითხოთ, თუ რა ენაზე ლოცულობს ეს მართლ-მადიდებელი ხალხი. თუ აქაურობისა არა იცით-რა, სწორედ გაგიპირდებათ მიხვედრა. წარმოიდგინეთ, რომ ამ სოფელში წირვა-ლოცვა ბერძნულს ენაზე სწარმოებს და მღვდელიც ბერძენი ჰყავთ. უეჭველია რეხელებისათვის ქართული წირვა-ლოცვა უფრო გასაგები იქნებოდა. რეხელებიც ამას ამბობენ და კიდეცა სურთ ქართულად ილოცონ. ამიტომ კარგი იქნება, იმათს მდგომარეობასა და სურვილს ყურადღება ათხოვონ. რეხელებს თავიანთი სკოლა არა აქვთ და იმათი ყმაწვილები სოფ. არგანის სკოლაში დაიარებიან. ამ სკოლაში რუსულსა და ბერძნულს ასწავლიან და რა მდგომარეობაში

რათი, სამკუთხა ქუდი, ოქრო-ვერცხლით ნაკერი ტანსაცმელი თანდათან ჰქრება იმის ოცნებიდგან. მოხუცი უჯავრდება შვილს, ეხვეწება, ეშუდარება: „ცალკე მასწავლებელი გინდა? მე დაგიჯერ ყველაზე უკეთესს, ყველაზე ძვირს მასწავლებელს“. ეიქტორს არაფერი ეკარება. უფრო უტეხნოდება, ზარმაცდება და დღითი დღე დარდს ეძლევა. შეკეტილმა ცხოვრებამ ყველა და ყველაფერი შეაზარა. კლარას და იმის მშობლებს რომ ენახათ ეხლა ეიქტორი, უეჭველია ყოველ ღონეს იხმარდნენ, რომ უდანაშაულო პატიმარი განეთავისუფლებინათ.

ეიქტორი დარდობდა, მაგრამ არც ლუეოს ოჯახი მხიარულობდა. საქმე იმათ უფრო და უფრო ცუდად მისდიოდათ, გემი მთლად დაფუტურეოდა, დაძველდა. ეიქტორმაც იცის ეს, აღმზრდელისაგან წითელ ყარანდაშით დანიშნულ კლარა წერილებიდამ. „ნეტავ შენც ჩვენთან იყო! სწერდა კლარა: ნეტავ კიდევ ვეღირსები შენს დაბრუნებას...“ კლარას გულ-წრფელ წერილებიდამ სჩანდა, რომ მხოლოდ ეიქტორს-ღა შეეძლო იმათი შველა. სწორედ, რომ ეიქტორი უშველით... იგი უყიდის ახალ გემს და ამითი დაუმტკიცებს ბიძია ლუეოს, რომ იმათს აღზრდილს ბავშეს იმათზე გული არ აუცრუებია. მაგრამ ამის ასასრულებლად უნდა დაეყაკცდეს ეიქტორი, უნდა შეიძლოს ფულის შოვნა... უნდა ბევრი რამ იკოდეს. ეიქტორი მწყურვალსავით ეწაფება წიგნებს. ეხლა აღარა აშინებს-რა ეიქტორს! დღე მასწავლებელმა არახუნოს სახაზავი და თუთიყუშივით იძახოს: „ჩუმად... ჩუმად!“ ეიქტორი თავს მაღლა აღარ იღებს, არ ინძრევა, იგი გემს აღარ ჰხატავს... არა, ჰკითხულობს, სწავლობს.

— მოსწავლე მოჭანდრთან წერილია!

უეჭველია კლარასაგან არის... გახურებულ სწავლის დროს გულითადის მეგობრის წერილი დიდი მანუგეშებელი და წამახალისებელია. ეიქტორი მაგიდის ქეშე ჰყოფს თავს, რომ ჩუმად ჩაჰკოცნოს, ჩიკარას გულში გულწრფელის მეკობრის წერილი. „ახლა-კი სულ გათავდა, ძვირფასო ეიქტორ! „მშვენიერი ნიერნეზა“ აღარ არის. მოკვდა და ჩვენც მთლად დაგეღუბა. ნიერნეზას ეხლა ამშვენებს მსხვილის ასოებით წარწერილი ქალაღდი: „გემი დასახეჩად ისყიდება“. ვიღაცეები მოვიდნენ, გაზომეს და ასწერეს გემი — ეკიპაჟის სადგომიდამ დაწყებული ჩემის პატარა დის აკნამდე. ერთის კვირის შემდეგ ყველაფერი გაიყიდება და ჩვენც ცარიელ-ტარიელები დავრჩებით.

„სად, სად წავალთ? დედა დარდს ვერ გადურჩება და მამას ხომ მთლად გამოეცალა გუნება“.

ეიქტორმა ვერ დაიბოლოა წერილის წაკითხვა, თალები აებლისა და თავს ზარ-დაცემული დაეცა იატაკზე... საშინელმა სიცხემ იატაკა ეიქტორი და ბოდვას მოჰყვა. წარმოიდგა ეითომ შუა სენაში მისცურავს... მოესმა ზარის ხმა... უეჭველია რომელიმე გემი მოვიდა ნავთ-სადგურზე... მერე შემოესმა ხმაურობა-ყვირილი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა: „მარჯვნივ... ნაპირისკენ...“ ეიქტორმა ცახცახი დაიწყო... ამ ბოდვაში იმის წინ შეშინებულის სახით იდგა აღმზრდელი და ჰკითხავდა:

— ავად ხომ არა ხართ, მოჭანდრ?..

მოსწავლე მოჭანდრი საშიშოდ არის ავად.

. . . . . .

მოხუცი მამა წამ და უწუმ ეკითხება ექიმს:

— არ მოკვდება, ექიმო, არა?

ექიმი უომდოდ იქნეეს თავს. ისეც ნათლად სჩანს, რომ ეიქტორის მორჩენა მეტად საეჭვოა. თუ-კი გამოცდილი ექიმი ეჭვშია, სჩანს, რომ საქმე სახუმარო არ არის.

მწვანე ტანსაცმელი, სამ-კუთხიანი ქუდი ფიქრადაც აღარ მოსდის მოხუცს. ექიმმა გადაწყვეტით გამოუცხადა, რომ ბავშეს სრული თავისუფლება უნდა მიეცეს, თუ როგორმე გადურჩა სიკვდილსა და მორჩაო... მორჩა!.. ზარ-დაცემია სწორედ სასწაულით მოპოვებულის შვილის დაკარგვა და მასთან ერთად ყველა სურვილისა და აზრის გაცრუება გამდიდრებულ მამისათვის. რასაკვირველია, ოცნებობა ეხლა უადგილოა. იგი მზად არის საკუთარის ხელით დაამარხოს ფიქრი სატყეო სასწავლებლის შესახებ, მხოლოდ იმისი ეიქტორი-კი ცოცხალი გადარჩეს, ადგეს ლოგინიდგან, მიჰვარდეს, მოეხვიოს მამას და უთხრას:

— ინუგეშე, მამაე, მე კარგადა ვარ!

დურგალი გაშტერებული დაჰყურებს ავადმყოფის სასწოლს... კერპი, შეუპოვარი გული მთლად მოელბო, მოძონძდა...

— სრულს თავისუფლებას მოგანიჭებ, ჩემო ძვირფასო! შენ დაბრუნდი იმათთან და კვლავ იელი სენაში. მე ის ბედნიერებაც მეყოფა, რომ ამ სიბერის დროს საყვარელის შვილის ხილეა და ცრემლი არ მომაკლდება.

სასწავლებელი დაცარიელდა. მოსწავლენი საორ-თთვეოდ დაითხოვეს და წამდაუწუმი ზარის ხმა შესწყდა. ირგვლივ შეურყეველი მყუდროებაა: შადრევნის წყლის წკაპწკაპი და ბელურა ჩიტის ჭიკჭიკი-ღა არღვევს ამ მყუდროებას. ამ სიჩუმე-მყუდროებამ ცოტ-ცოტა გონს მოიყვანა ეიქტორი იგი გაოცებულია, თუ საიდამ გაჩნდა ჩითის ფარდებით შემოზღუდულს სპეტაკ საწოლზე. ეიქტორს უნდოდა წამომჯდარიყო, შეეტყო თუ სად არის, მაგრამ სისუსტემ ნება არ მისცა და უნებლიედ მიესვენა ბალიშებზე: ეიქტორს შემოესმა ჩურჩული, ფრთხილი ფეხის ხმა და რაღაცის შრიალი, თითქო ქალის ტანსაცმელიაო. ეს წინადაც ჰსმენია ეიქტორს, მაგრამ სად? ჰო! მარ-თლა, „მშვენიერ ნიერნეზას“ საჩიზზე... ეიქტორმა მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და აკანკალებულის ხმით დაიყვირა: „ჰე! ეკიპაჟო!“ ფარდები გადაწია და მის წინ წარსდგნენ ყველა ძვირფასი მეგობრები, ის მეგობრები, რომელთაც ბოდვაში ეიქტორი იწვევდა თავისთან. ყველანი? დიაღ, ყველანი. საწოლს გვერდით სდგანან კლარა, მოჭანდრი, ბიძია ლუეო ცოლით, მიმილი და ფრთა-მოტეხილი ბატი ეკიპაჟიც კი... ყველა ღიმილით შესცქერის ეიქტორს, ყველას უნდა დაჰკოცნოს იგი.

— სადა ვარ! როგორ მოხდა, რომ თქვენთანა ვარ?

ექიმის ბრძანება შეურყეველია. იმან დაუშალა ავადმყოფს ლაპარაკი. ბავშვმა რომ კიდევ არ ილაპარაკოსო, მოხუცმა მამამ დაიწყო.

—წარმოიდგინე, შვილო! ორის კვირის წინად, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შენ გაჰხდი ავად, მე მიეედი სასწავლებლის უფროსთან შენზედ მოსალაპარაკებლად. იმან მითხრა, რომ შენ მეცადინეობა დაიწყე და საუცხოოდაც სწავლობ. ადვილად წარმოსადგენია ჩემი სიხარული! მე ესთხოვე შენის ნახვის ნება-რთვა. უცებ უფროსთან შემორბის აღმზრდელი და ეუბნება, რომ შენ ავად გაჰხდი და სიცხე-ბოდვაში ხარ. მაშინათვე გამოვექანე საავადმყოფოსაკენ, მაგრამ შენ ვეღარ მიცან. ვერ გეტყვი, ჩემო კარგო, რა გვარად იყავ ავად! ბოდვაში სულ სოფელს, „მშვენიერ ნიერნეზას“, კლარასა და ახალს გემს იძახდი. მაშინ მომაგონდა კლარას წერილი. იგი შენს ლოგინში ეპოვნათ და გადმომაცეს. წერილი წავიკითხე და რაღაც ხმამ ჩამძახა: მოჭანდრ, საკუთარმა დარდმა მეგობრების უბედურება არ უნდა დაგავიწყოს. მაშინადეე დებეშით გამოვიწვიე ესენი, მაგრამ პასუხი არ მოვიღე... ეიხელთე თავისუფალი დღე, წავედი და მოგიყვანე შენი მეგობრები, რომლებიც შენთან დარჩებიან, მანამ სამათ აწეწილ საქმეს არ გავასწორებთ. არა, ლუეო?

ყველას თვალებში ცრემლი მოერია. ეიქტორმა ამოიღო საბნიდამ ხელები და ნიშნად მადლობისა პირველად გადაეხვია მოხუც მამას. ეხლავ ეიქტორის სახლში გადაყვანა შეუძლებელი იყო და გადასწყვიტეს სასწავლებლის სამკურნალოში დაეტოვებინათ მორჩენამდე. ავადმყოფთან მომხელელად დარჩა კლარა, რომელიც

უნდა იყვნენ ყმაწვილი რეხელები, ადეილი წარმოსადგენია.

*** **ბორა:** ლიახვის გამაგრების გამო ჯერ კიდეე არ შემდგარა მუშაობა, ყოველ დღე თითქმის ასზე მეტი ურემი მუშაობს: ეზიდებიან ქვასა და ფიჩხს, ჰყრიან ნაპირში და აქაველებენ ფიჩხს. ჰსურთა ამითი შემმაგრონ, მაგრამ ეაი შენს მტერს, რაც სიპმა ქვამ წყალი ვერ შეიმაგროს. აქ საპირო იყო კლდე და არა სიპი ქვა. წელს დაანგრევს ამ ნამუშაევარს და ახლა კიდეე მერმისისთვისაც უნდა შეაწუხონ ხალხი.

*** **იქალაშვე:** როგორც გორის ქუჩებში გაკეთულ განცხადებიდამა სჩანს, ხმოსნებისა და ქალაქის თავის არჩეევნი მოხდება ამ მომავალს აპრილში. აწინდელი თავი აღარ დგებაო. ქალაქს ეინა ჰყავს სახეში თავად, ჯერ არა სჩანს.

*** **დ. ეგორალა:** შავის ქვის წარმოებას სხვა წარმოებაც მოემატა რაც დღემდე ბათუმში ნაეთი მიჰქონდათ დასაწმენდად, აქ უნდა დაიწმინდოს. ამისათვის ბათუმიდგან ქარხნები აქ გადმოვა. ეს ახალი წარმოება, იმედია, ცოტად თუ ბეერად ხელს მოუმართავს მუშა ხალხს.

*** 29 ამ თვისას მეთოხე განყოფილების ბოჭუელთან გამოცხადდა ტფილისის მაზრის მცხოვრები გლეხი მიხეილ ზარიძე და უთხრა, რომ მარტის 25 შორაპნის მაზრაში, სოფ. წიფაში, სიმოვრალის დროს, ჩხუბი მომივიდა გლეხ ნესტორ თხელაძესთან, რეკოლვერი გესროლე და მოგაკლიო. ზარიძემ გადასცეს მეორე განყოფილების სასამართლოს გამომძიებელს.

◆◆

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის პარლამენტმა თითქმის მთელი ერთი კრება შესწირა, რომ მიეცალებული ბრაიტი შესაფერის პატივის-ცემით მოესენებინა. სმიტმა გაახსენა საზოგადოებათა პალატას მისი ღვაწლი და თავისი სიტყვა ასე დაამოლოა: „ბრაიტმა ისეთი ხსენება დასტო

ღებს. შემდეგ იქვე მოწეობილი სსვა მესანაზლო ნასტლს სურათს გადატლს კედელს იქით და რანაის უეთი ჩაჭედტლვს. ასე რომ ქეოდა თუნდა მაინქანა წაიღოს კედეტ, დიდი უბედურება არ იქნება, სურათი იქვე დარჩება. ამ მანქანის წეალობით ქეოდი ისე ადვილად გადარ ინკარდებს და შეიძლება იცხონ და დაპატიმრონ.

— ეეს ეს ამ დღეებში დიდი ალიკოთი ბუტეხნაა ერთის ამბავს. გრუზ ფეუსტეტის თავისის ცოლისთვის სწორედ ამ დროს ეაუსწერა, როცა ეს დედაკაცი ემაწეიდს კაცს ბლეთრეკრს, ბერლინის ბანკის პატრონის შვილს, ეხეეოდა ეეურაცხეყოფილმა ქმარმა მაშინეე გამოაითხოეა ემაწეიდი კაცი დეკლეში და არც ის იყო ეარეს. დეკლი მეორე დღისათვის იყო დანაშნული ეენის მამაზე. გრუზი მიეიდა თერეს სარძოლეკლს ადგილზე, მაგრამ ამოად ალოდდა თავისს მოწინააღმდეკეკს: ემაწეიდი კაცი არ მოკიდა. თეოდე ამ დროს, როცა გრუზი ფეუსტეტის შეაბრძოლს ალოდდა, სსადგაზდა ბლეთრეკრმა ამაზი ტოლი ეაკეკანს თან და კაშა კურეულსაკით და ან რად დაერადებოდა, ტეკაი მოეკი ეაიღო და სატრეფოდ თან გაიყოლა.

დეპეშა

30 მარტი

ПЕТЕРБУРГЪ. გუშინ საღამოს გარდაიცვალა გზათა მინისტრი პაუკერი.

ბუქარესტი. სამინისტრო კრიზისი ჯერ არ გათავებულა გენერალი ფლორესკო უარს ამბობს, ვერ ეიტეირთვის კაბინეტის შედგენასაო. ჭიქრობენ, რომ მეფე კლავე კატარჯის მიმართვასეო.

РОМЪ. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა, ჯერ ნუ დაეპყრობთ ხამარისა და კერენსაო.

ბუქარესტი. მეფემ ხელ-მეორედ მინდო კატარჯის, შეადგინე კაბინეტი. კატარჯი მთავარ-მინისტრი იქმნება და მინისტრი საშინაო საქმეთა, ლაგოვარი მინისტრი გარეშე საქმეთა, გენერალი მანუ სამხედრო მინისტრი.

ВѢТЕРБУРГЪ 28 მარტი ბირეკ.

	ფოთლეულ.		ბეკრეულ.		ბალეულ.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანთიანი ოქრო	—	„	—	„	7	43
ტამოჟნის კუპონები	—	„	—	„	148	3/4
მანთიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	12
5% პირველის შინაგანის სესხის ბომბები ბილეთი	—	„	—	„	270	
—მეორისა	—	„	—	„	242	1/2
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ეეუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეკე ჩეკნი (1889) წელიწადკ. ქეკეანის შექმნიდან 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ანბანი ქართლიანი—ეკა=481 წელიდ. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ანბანი ქართლიანი მე=45 წელიწადიდ. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადეკია—6.
მარტი 31 დღეთ არის.

31 დღე პარასკევი. წმ. ღირსსა ალბერტ კეტსკ, იოსეფისა. კათოლ. წმ. ვეკლიმინასი. მაკმადიდ. მეკ-12 რიცხვი თოვლისა შაბანისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების "წესდებადამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ, 1879 წ.—ჟამშარტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—38. მოგრეკ 12 დღისაა.

პარასკევი 30 დღეთ არის.

1 დღე მარტისა. ღირსსა დავითთ შორის მარიამ ეგვიპტელისა. კათოლ. წმ. სტეფანესი. მაკმადიდ. მეკ-13 რიცხვი თოვლისა შაბანისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჟამშარტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—39. მოგრეკ 13 დღისაა.

2 დღე კვირა. ბზობა. კათოლ. ბზობეკი. სომეხ. ბზობა. მაკმადიდ. მეკ-14 რიცხვი თოვლისა შაბანისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჟამშარტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40. მოგრეკ 14 დღისაა.

3 დღე ორშაბათი. ღირსსა მამისა ნიეტა ალმასარეკელისა. კათოლ. წმ. ჰალტონისა. მაკმადიდ. მეკ-15 რიცხვი თოვლისა შაბანისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჟამშარტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მოგრეკ 15 დღისაა.

ბაპოსადგანი ცნობანი

ნიბრი

1 მარტიდან 1 აპრილამდე.

თეთრი ბეერი რუსული 1 ბარ.	5	კაპ.
ბეერი 1-ის ხარისხისა.	3 1/2	„
„ 2 „	3	„
თონის ყითელი ბეერი 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3 1/2	„
ჯვრის მაძის ბეერის დაკაში		
1-დის ხარისხისა	5	„
მე-2 ხარისხისა	4	„
მე-3 —	„	„
ძრახის ხორცი 1-დის ხარისხისა.	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-დის ხარისხისა.	10	„
ღორის ხორცი	„	„
„ 2	„	„

მიმოწველა ცეცხლის ბემბეგისა შაბს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღეკეს 4 საათზედ მოკელე ბზაი და ნოეოროსიისკს და ყირიმი შეიკლის.

შაბათობით სადამის 8 საათზე შორის ბზაი (ეკეკა ნავთ-საგზურეკში შეიკლის).

კვირაობით სადამოთი, სუზეკარ. ბერეთ, სტამბოდამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შეა-ღამისს შორის ბზაი.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკელს ბზაი (ეკრჩსს და ნოეოროსიისკში შესკლით).

შაბათობით დილით სტამბოდამდ. ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეკ, როცა სოხუმიდამ მოდის ეკეკი შორის ბზაი. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისსწორის მოკელს ბზაი მოსიაორეულ კეკეკსიისა და ყირიმის ეკეკს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისსწორის შორის ბზაი მოსიაორეულ-კეკეკსია-ყირიმისა და რუმეკიის-ანატოლიისკეკს ეკმსკელეკს ეკეკს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითს და კვირაობით. რკეი ეკეკი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საუკეტრო ბადეს ეკეკეტს ხოდეკ, რადის ეკეკ ეკეკ.

ამს ეკრდ ეოკეკ-ეკრა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კეკეკსიის ნაკო-სადგურიდამ კადეკეკეტლს ეკადეს ეკეკეს.

განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ განიზრახა შეადგოოოს და დაბეჭდოს სახალხო ზღაპრები და ლეგენდები.

ამისათვის მიმართავს ყველას და უმორჩილესად სთხოვს, არ დაიშურონ და გამოუგზავნონ საზოგადოების გამგეობას ეისაც ამ გვარი რამ ნაწერიმები მოეპოოვება, ან შემდეგში მოიპო